პროექტი

საქართველო

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება #

წეროვანი, დევნილთა დასახლება 2017 წელი 5 დეკემბერი

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ვაკანტურ თანამადებობებზე კონკურსის გამოცხადებისა და კონკურსში მონაწილეთათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის'' 54–ე მუხლის პირველი პუნქტის ა.თ ქვეპუნქტის, 61–ე მუხლის მესამე პუნქტის ა ქვეპუნქტის , ,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის 28–ე მუხლის, 35–ე, 39–ე მუხლების,126 –ე მუხლის მეექვსე პუნქტის, ,,კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის # 204 დადგენილების საფუძველზე
ვბრძანებ:

მუხლი1. გამოცხადეს ღია საჯარო კონკურსი ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა შემდეგი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად:

1. ახალორის მუნიციპალიტეტის თვითმართველი ერთეულის გდუს თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული,მესამე რანგი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, თანამდებობრივი სარგო 700 ლარი,
2. ახალგორის მუნიციპალიტეტის თვითმართველი ერთეულის კორინთის თემის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტი, მეოთხე რანგი, პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი, თანამდებობრივი სარგო 400 ლარი

მუხლი 2. კონკურსში მონაწილეთათვის დამტკიცდეს შემდეგი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) ქართულ ენაზე ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარი,
ბ) საოფისე პროგრამული პროგრამების (Micosoft office Word, Micosoft office excel, Internet Explorer) სამოხმარებლო დონეზე ცოდნა,
გ) კონკურსანტს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:
გ.ა) საქართველოს კონსტიტუცია,
გ.ბ) საქართველოს ორგანული კანონი ,, ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი".
გ.გ) საქართველოს კანონი ,,საჯარო სამსახურის შესახებ'',
გ.დ)საქართველოს კანონი ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი'',

გ.ე) ,,ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ'' ევროპული ქარტია

მუხლი 3. გარდა მეორე მუხლით დამტკიცებული დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა ასევე სავალდებულოა: გდუს თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის თანამდებობაზე კონკურსანტისათვის სავალდებულოა უმაღლესი განათლება ,მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება, კორინთის თემის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტის თანამდებობაზე კონკურსანტისთვის სრული ზოგადი განათლება.

მუხლი 4. საჯარო მოხელეთა კონკურსი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. განცხადების გადარჩევა
2. გასაუბრება

მუხლი 5. ბრძანება ძალაში შევიდეს მისი გაცნობისთანავე;

მუხლი 6. ამ ბრძანების გასაჩივრება შეიძლება მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში მცხეთის რაიონულ სასამართლოში , ქ. მცხეთა, სამხედროს ქუჩა #17.

ახალგორის მუნიციპალიტეტის
გამგებელი
ნუგზარი თინიკაშვილი